ივანე წერეთელი
(თსუ)

მეხსიერების ადგილები დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში ანუ რას მოგვითხრობს ქართული სამოქალაქო კალენდარი

ვიზალიბერალიზაციის მიღებით საქართველომ ევროპასთან სიახლოვის ისტორიულ ნიშნულს მიაღწია. ეს გახლავთ ერთგვარი ჯილდო ქვეყანის დემოკრატიზააცისთვის გატარებული რეფორმებისთვის. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ დგას გამოწვევების წინაშე. გამოწვევების ერთი ნაწილი უკავშირდება არის ექსკლუზიურობა-ინკლუზიურობას და სეკულარიზმის ხარისხს საზოგადეობაში. ნაშრომში ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ პოლიტიკური და კულტურული ტრანასფორმაციის დინამიკა სამოქალაქო კალენდრის მაგალითზე. მიგვაჩნია, რომ კალენდარი არის ადგილი, სივრცე, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს ყველაზე სწრაფად ირეკლავს. კალენდარი წარმოადგენს დღეების ორგანიზებას პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური მიზნებით; ის აერთიანებს „ამბებს“ სხვადასხვა მოვლენებზე, რომლებიც იცვლებოდნენ და იცვლებიან საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ტრანსფორმაციასთან ერთად.

კოლექტიური მეხსიერება კვლევის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტია. ინდივიდუალური მეხსიერება არსებობს იმდენად, რამდენადაც ინდივიდი არის სოციალური ჯგუფების ურთიერთქმედების ობიექტი. კოლექტიური მეხსიერება ყოველთვის სოციალურადაა განსაზღვრული წარსულის გააზრებას ნებისმიერ შემთხვევაში თანამედროვეობა განსაზღვრავს. დამახსოვრება-დავიწყების მუდმივად ცვალებად დისკურსზე დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური კონიუნქტურა. ცვლილებები კარგად ჩანს სხვადასხვა სახის ნარატივებსა თუ მეხსიერების ადგილებში. მკვლევრები გამოყოფენ წარსულის დამახსოვრებისა და მეხსიერების გადაცემის სხვადასხვა ფორმას. მაგალითად, პ. ბერკი საუბრობს ხუთი სახის მედიუმზე, რომელთა საშუალებითაც ხდება მეხსიერების გადაცემა: პიერ ნორა გამოყოფს ოთხი ტიპის ე.წ. „მეხსიერების ადგილს/არეს“ (Nora, 1989: 25).

ჩვენი აზრით, კალენდარი წარმოადგენს მნიშვნელოვან „მედიუმს“, რომელიც ასახვას ზეპირ ტრადიციებს, ისტორიკოსების მიერ დადგენილ მნიშვნელოვან თარიღებს, გამოსახულებით და ფოტოგრაფიულ ხატებს, სადღესასწაულო დღეებს, რიტუალებს, იუბილეებს, და ა.შ. კალენდარში კარგად ჩანს წარსულის ახლებური გააზრების შედეგები, რაც თავისთავად დიდ გავლენას ახდენს კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე. ინსტიტუციური მეხსიერების დინამიკა, პოლიტიკური კონიუნქტურის დამოკიდებულების ცვლილება კალენდარში დაცული ტექსტებისა თუ ინფორმაციების ცვლილებას იწვევს. კალენდარი წარმოადგენს მთელი წლის გაწერილ გეგმას, იგი აწესრიგებს დროს, ცხოვრების განრიგს, განასხვავებს სამუშაო და უქმე დღეებს, ხაზს უსვამს ღირშესანიშნავ მოვლენებსა თუ პიროვნებების ბიოგრაფიებს. მისი მთავარი დანიშნულებაა, მნიშვნელოვანი მოვლენა ყოველწელსმეორდება, ყოველწელს აღინიშნება ასე მაგალითად დამოუკიდებლობის, აღსანიშნავი მნიშვნელოვანი გამარჯვების, მეფის, მწერლის, რელიგიური რიტუალისა თუ წმინდანის დღეები, რაც მნიშვნელოვანია კოლექტიური მეხსიერების შექმნისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით.

დამოუკიდებლობის მოიპოვების შემდეგ, აუცილებელი გახდა წარსულის გადაფასება და ახლებური გაანალიზება. საქართველომ დაიწყო საბჭოთა რეალობიდან ახალი რეალობისკენ სვლა. სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი პირველ რიგში სწორედ სამოქალაქო კალენდარში აისახა.

მთლიანად შეიცვალა მისი შინაარსი და მასში დაცული ინფორმაცია. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებასთან ერთად, სამოქალაქო კალენდარში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი უქმე დღეები ამოღებულ და ჩანაცვლებულ იქნა რელიგიური და ეროვნული დღესასწაულებით.

საქართელოში ოფიციალური უქმე დღეებია:

1 და 2 იანვარი – ახალიწელი;

7 იანვარი – შობა;

19 იანვარი – ნათლისღება;

3 მარტი – დედისდღე;

8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;

9 აპრილი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის დაღუპულთა მოხსენიების დღე;

სააღდგომო დღეები: დიდიპარასკევი, დიდიშაბათი, აღდგომა, მიცვალებულთა მოხსენიების დღე (აღდგომის შემდეგი ორშაბათი);

9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

12 მაისი – წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე;

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

28 აგვისტო – მარიამობა;

14 ოქტომბერი – მცხეთობა;

23 ნოემბერი – გიორგობა.

აღდგომის შაბათ-კვირას თუ არ მივათვლით უქმე დღეებს, გამოდის რომ საქართველოში 15 უქმე დღეა. ამ რიცხვით საქართველო ევროპის ლიდერი გამოდის სლოვაკეთთან ერთად. ამავდროულად, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა 2017 წლის 15 მარტს მხარიდაუჭირა ინიციატივას 12 აგვისტოს - დიდგორის ბრძოლის დღე - „საქართველოს დიდი გამარჯვების“ დღედ გამოცხადებას და უქმედ დაწესებას.

გლობალიზაციის პირობებში საჭიროა ეროვნული მუხტის გაღვივება და პროპაგანდა იმისა, რა ღირებულებების დაცვით მოვიდა მართლმადიდებელი საქართველო დღემდე. ამ კუთხით უმნიშვნელოვანესია დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების – 12 აგვისტოს – უქმე დღედ გამოცხადება და ეროვნული სულისკვეთების, ისტორიული და საბრძოლო ტრადიციების წარმოჩინებით აღნიშვნა. მომავალმა თაობებმა უნდა დაინახონ, რა ღირებულებებზე იდგა ქართული სახელმწიფო. დიდგორობის საერთო სახალხო დღესასწაულად და „საქართველოს დიდი გამარჯვების დღედ“ გამოცხადება ხელს შუწყობს ეროვნული მუხტის გაძლიერებას და განმტკიცებას”, – ნათქვამია განმარტებით ბარათში (კაპანაძე, 2017: 1).

ამ შემოთავაზების კანონად მიღებით, საქართველო სლოვაკეთს გაასწრებს უქმე დღეების რაოდენობით და ევროპაში 16 უქმე დღით პირველი გახდება, ხოლო მსოფლიოში არგენტინისა და იაპონიის მაჩვენებელს გაუტოლდება.

საინტერესოა საერო და სასულიერო დღესასწაულების თანაფარდობა. დანიას 10 დღესასწაულიდან, მხოლოდ ერთი საერო დღესასწაული აქვს, რუსეთს პირიქით: 12 დღესასწაულიდან, მხოლოდ ერთია რელიგიური. ესტონეთს, მალტას, პორტუგალიასა და რუმინეთს თანაბარი რაოდენობის საერო და რელიგიური დღესასწაულია აქვთ. იმ ქვეყნებს შორის სადაც რელიგიური დღესასწაულები სჭარბობენ საეროს არიან: ავსტრია, საბერძნეთი, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები. ხოლო ალბანეთში, სლოვენიაში, სერბეთში, ბელარუსში, უკრაინასა და მოლდოვაში საერო დღესასწაულები რელიგიურს სჭარბობს. საქართველოში 16 დღესასწაულიდან 8 საეროა, ხოლო 8 საეკლესიო. საინტერესოა, რომ ყველა მართლმადიდებლური დრესასწაულია(კაპანაძე, 2017: 1).

მოგეხსენებათ, 17 მაისი მსოფლიოში ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ 2013 წლის 17 მაისს გადაწყვიტა მშვიდობიანი აქციის ჩატარება თავისუფლების მოედანზე, თუმცა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა ლგბტ აქტივისტებს არ მისცეს ამ დღის აღნიშვნის უფლება და აქცია სასტიკად დაარბიეს. 2013 წლის შემდეგ საპატრიარქომ ტაბუ დაადო ამ ადგილს და აქტივისტებს აქციის ჩატარების საშუალება აღარ მისცეს. 2014 წელს კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესისს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ 17 მაისი ოჯახის სიმტკიცის დაცვის დღედ გამოაცხადა. ამ დღეს მრევლი რუსთაველის გამზირზე ხატებით მსვლელობას აწყობს სამების ტაძრისკენ.

17 მაისმა დიდი დაპირისპირება გამოიწვია საზოგადოებაში, 12 000-ზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ ხელი მოაწერა პეტიციაზე, სადაც ისინი პრეზიდენტს, პრემიერს და პარლამენტის თავმჯდომარეს იმ ორთოდოქსი მოძალადეების დასჯისკენ მოუწოდებდნენ, რომლებმაც სისხლის სამართლის კოდექსის 10 მუხლი დაარვიეს. თუმცა სახელმწიფოს მსგავსი ქმედება არ განუხორციელებია. (წულაძე, 2013: 1).

დასკვნის სახით შეიძლება იტქვას, რომ საქართველოკუტურულად, ეტნიკურად და რელიგიურდ ჭრელი, სეკულარული სახელმწიფოა, სადაც ზრუნავენ უმცირესობათა მაქსიმალური სამოქალაქო ინტეგრაციისთვის, სადაც არ არსებობს სახელმწიფო რელიგია, კონსტიტუციაში დეკლარირებულიარწმენის თავისუფლებისა და თანასწორობის იდეა. მაგრამ, რეალობა სულ სხვაგვარადაა ასახული სამოქალაქო

კალენდარზე. თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, კალენდარი, როგორც ერთგვარი ნარატივი საპირისპირო სურათს გვიჩვენებს. მასზე დაყრდნობით არ ჩანს, რომ საქართველო მულტიკულტურული სახელმწიფოა, რომელიც თანასწორობის იდეას ემყარება, რადგან რელიგიური სახის უქმე დღეები მხოლოდ მართლმადიდებლური დღესასწაულებია და კალენდარში უმცირესობათა დღესასწაულები საერთოოდ არაა გათვალისწინებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თორია მალხაზ, „საბჭოთა წარსული, მეხსიერების ადგილები და იკონოკლაზმი თანამედროვე საქართველოში“, „ცივილიზაციური ძიებანი“ #9. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2012.
2. კაპანაძე კოკა. (მარტი, 2017). „კომიტეტმა დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების დღის უქმედ გამოცხადებას მხარი დაუჭირა” .

http://www.tabula.ge/ge/story/118330-komitetma-didgoris-brdzolashi-gamarjvebis-dghis-uqmed-gamocxadebas-mxari-dauchira

3. წულაძე ზაზა. (მაისი, 22). „17 მაისი თბილისში: თეირანიზაციის საფრთხე“. https://www.amerikiskhma.com/a/georgia-theocracy-danger/1665965.html
4. ჯანელიძე ოთარ. „საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009.
5. ჯონსი სტივენ. „საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2012.
6. Nora Pier, „Between Memory and History: Les Lieux de Mémoire“, in: Representations, No. 26, Special Issue: Memory and Counter-Memory, 1989.
7. Qasmi Ali Usman, „Identity formation through national calendar: holidays and commemorations in Pakistan“, Journal of the Association for the Study of Etnicity and Nationalism, 2017.

Abstract

The case of Georgia's transformation through the analysis of a civic calendar demonstrates existing problems on the way of country's democratization. Its design in terms of national festivities

and celebrations contradicts the declared course of the Georgian state, which is aimed at building an inclusive civic Georgian nation, as it is centered only at the Orthodox population of the country. The multi-ethnicity of the Georgian nation – the political and cultural role of national minorities in the Georgian state – is not reflected in the civic calendar of the state. Considering the popularity of the Georgian Orthodox Church among the Georgian society and its influence on the formation of public opinion, a range of challenges could emerge on Georgia's way towards democratization, as some aspects of the liberal ideology is termed as dangerous for the Georgian culture by the Georgian Orthodox Church.

Keywords: *Georgia, calendar, democratization, transformation*